ცნობა

მამუკა ბახტაძე დაიბადა 1982 წლის 9 ივნისს;

2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი, 2005 წელს – მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი, 2010 წელს – INSEAD-ის ბიზნეს სკოლა, MBA-ის კვალიფიკაციით, 2015 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი;

2005-2006 წლებში იყო სს „საქართველოს რკინიგზის" პროექტის მენეჯერი;

2007 წლიდან 2008 წლამდე – სასტუმროების ქსელ „რჩეულის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

2010-2012 წლებში – საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალური დირექტორი;

2013 წლის აპრილიდან 2017 წლის 13 ნოემბრამდე – სს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი;

2017 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად.